საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერთა ტრენინგი მუნიციპალიტეტის ორგანოთა 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს - საკრებულოსა და თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2021 წლის 2 ოქტომბრის არჩევნებისთვის, ცესკოს სწავლების ცენტრმა საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერები გადაამზადა.

ტრენინგები 11 აგვისტოდან 21 აგვისტოს ჩათვლით პერიოდში განხორციელდა. ტრენერთა ტრენინგის გავლის შემდგომ, გადამზადებულმა საარჩევნო ადმინისტრაციის ტრენერებმა და საოლქო საარჩევნო კომისიების წევრებმა, რომლებიც ტრენერების სტატუსით იყვნენ ჩართულები სასწავლო პროექტში, უზრუნველყვეს საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის საარჩევნო კანონმდებლობასთან დაკავშირებული ინტენსიური სასწავლო პროგრამების ჩატარება.

ტრენერთა ტრენინგის მონაწილეები დეტალურად გაეცნენ საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგებთან დაკავშირებით შემუშავებულ ახალი კონცეფციას, რომლის მიხედვით გათვალისწინებულ იქნა:

- საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა ტრენინგების ინტენსივობის ზრდა (ექვსი ეტაპად, ნაცვლად ოთხი ეტაპისა);
- საუბნო საარჩევნო კომისიების ხელმძღვანელი პირებისთვის პროფილურად განკუთვნილი ტრენინგების ეტაპების ზრდა (ხელმძღვანელ პირებისთვის ტრენინგების სამი ეტაპი, ნაცვლად ორი ეტაპისა).

აქცენტი გაკეთდა პრაქტიკული მეთოდოლოგიით სწავლების კომპონენტის გაძლიერებაზე (კენჭისყრის დღის პროცესის ეპიზოდური ინსცენირებები, შემუშავდა ბევრი ახალი პრაქტიკული სავარჯიშო, რომელიც ორიენტირებულია საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა პროფესიული ცოდნისა და პრაქტიკული უნარების ზრდის ხელშეწყობაზე, მათ შორის კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შევსების საკითხთან მიმართებით). განახლებული კონცეფციის შესაბამისად, ინტენსიური პროფილური სწავლების ფორმატში საუბნო საარჩევნო კომისიების წევრებისთვის გათვალისწინებულ იქნა დეტალური ინფორმაციის გადაცემა კენჭისყრის დღემდე და კენჭისყრის დღეს საარჩევნო კომისიის მიერ განსახორციელებელ საქმიანობებზე, რაც მიზნად ისახავს საარჩევნო კომისიის მუშაობის ეფექტიანობის ზრდას, პანდემიის პირობებში უსაფრთხო საარჩევნო გარემოს უზრუნველყოფას, ჩართული მხარეებისა და ამომრჩევლებისთვის შესაბამისი სერვისის გაუმჯობესებას, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ჩართულობის ხელშეწყობას.

სწავლების ცენტრის მიერ შემუშავებული სიახლეები ეხმიანება საუბნო საარჩევნო კომისიების წევრთა კვალიფიკაციის ამაღლების მიმართულებით სადამკვირვებლო ორგანიზაციების 2020 წლის არჩევნების ანგარიშებში ასახულ რეკომენდაციებს.

დამატებითი ინფორმაცია:

http://electionreforms.ge/geo/list/show/3146-saarchevno-administratsiis-trenerta-treningi-munitsipalitetis-organota-2021-tslis-2-oqtombris-archevnebistvis

http://electionreforms.ge/geo/list/show/3148-saarchevno-administratsiashi-trenerta-treningi-grdzeldeba

http://electionreforms.ge/geo/list/show/3169-saarchevno-administratsiis-trenerta-treningis-statistika-2021-tslis-2-oqtombris-archevnebistvis